ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ დავით შარაშიძეს

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების სახეებია:

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტი 180.00 ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარება. ბიუჯეტი 10.00 ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება. ბიუჯეტი 25.000 ლარი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი. ბიუჯეტი 3000 ლარი;

სამდიცინო მომსაუხრების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბიუჯეტი 900.000 ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა. ბიუჯეტი 350,000 ლარი;

სოციალური პროგრამების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება. ბიუჯეტი 326.00 ლარი

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება. ბიუჯეტი 5.00 ლარი.

წლის ბიუჯეტი 1.799.00ლარი.

მუნიციპალიტეტის მერი: მ.ჟღერია